

სინანულის აკათისტო

დედათათვის, რომელთაც ჩვილნი მოწყვიდნეს საკუთარ საშოში (საშინაო საკითხავი)

კონდაკი 1

კრავო ღმრთისაო, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი, ისმინე მოთქმისა ჩემისა და შეისმინე წუხილი გულისა ჩემისა, აღიღე ტვირთი მძიმე ცოდვათა ჩემთა, რომელმან უძლურებანი კაცთანი თავს-ისხენ, შემიწყნარე სინანულით შევდრომილი შენდა, მვედრებელი და მხმობელი სიღრმით გულისათ: უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

იკოსი 1

ღმერთო და უფალო! ქმნული ხელთა შენთა ვარ, გარნა ვაძ ჩემდა, რამეთუ სამოთხეს ქმნული ადამისმიერი ცთომად არს სულსა და გვამსა ჩემსა და მონებრ სათნო-ვეყოფი მას, აწ კი გვედრი შენ:

შემიწყალე მე, შემოქმედო ზესთასოფლისაო;
შემიწყალე მე, შემოქმედო ქუეყანისაო;
შემიწყალე მე, უფალო ზეციურთა ძალთაო;
შემიწყალე მე, განმგებელო ყოველთა ხორციელთაო;
შემიწყალე მე, მზრუნველო ყოველთა-თვისაო;
შემიწყალე მე, სინანულისა ცრემლთა შენდა შემწირველი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 2

უფალო მრავალმოწყალეო, ვითარ კადნიერ-ვიქმნები ესევითარი ცოდვილი და მწიკ-ვლევანი მიახლებად შენდა ლოცვითა ჩემითა, რამეთუ მცნებასა შენსა გარდავხედ, რომელი იგი მეთქვა წინასწარმეტყველისა შენისა მოსეს მიერ: არა კაც-ჰკლა, ხოლო მე კაცისმკვლელ ვარ და ვაძ ჩემდა, ასმაგად უსასტიკეს ვიქმენ, ვიდრეა იქედნე, რომელი წიწილთა თვისთა ჟამ ერთ არა ვნებს, მერმე კი შთანთქავს, ხოლო მე შესაბრალისმან შვილნი ჩემნი არათუ მხოლო ნათელსა გრძნობადსა მოვაკელ, არამედ უმეტესსა ნათელსა ჭემმარიტსა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომელი განანათლებს ნათლისღებისა მიერ და მეძიებელი წუთიერისა განსვენებისა გავურბოდი მრავალშვილიერებასა, ვკლავდი რა ჩვილთა საშოსა ჩემსა. ამისთვისცა, დაბნელებულსა ამა და მრავალთა ცოდვათა მიერ, ყოველი სასოება დამიძს კეთილმოწყალეობასა შენსა ზედა და კადნიერებით ვხმობ შენდამი: ალილუია.

იკოსი 2

სიტყვანი ცხორებისა შენისანი უგულებელს-ვყავ, უფალო, და გულისთქმათა ჩემთა მიერ ვიდოდი სიყრმითგან, ვიდრე დღეინდელად დღემდე, აწ კი სინანულით გიხმობ შენ, მრავალმოწყალეო, მაცხოვრე მე:

შემიწყალე მე, უსჯულოებათა შინა მიდგომილი;
შემიწყალე მე, ცოდვათა შინა შობილი;

შემიწყალე მე, მცნებათა შენთა არა დამმარხველი;
შემიწყალე მე, მადლისა შენისაგან მოკლებული;
შემიწყალე მე, ცხოვნებისა ჩემისათვის უდებ-ქმნილი;
შემიწყალე მე, ბადესა შინა ვნებათასა შემწყვდეული;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 3

კეთილ და შვენიერ არს, ძმანო, ყოფნა ერთად და რადათა ვიყვარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა გვაძინო მაცხოვარმან ჩუენმან; რომელი რისხვიდეს ძმასა თვსსა, იგი კაცისმკვლელ არს, ხოლო მე რისხვითა აღვემატე ყოველთა საუკუნითგან შობილთა, უმეტესდა კაცისმკვლელთა, რომელთა მსხვერპლნი სხვადასხვაგვარისა მიზეზისა, ცხოვრებისა და ჰასაკისანი იყვნეს, ხოლო მე, უბადრუკმან, მოვუსწრაფე სიცოცხლე მათ, რომელთაცა ოდენ მიიღეს იგი შენგან, ცხოვრების მომნიჭებელისა; მე უგუნურმან უწყალოდ აღვიღე სიცოცხლე მათგან ჯერაც საშოსა შინა ჩემსა, შიშისა ღმრთისა უქონელმან უარვჰყავ ნება შენი და კურთხეული შენ მიერ ნიჭი შვილთსხმისა თავნებობითა ჩემითა გამოვიტაცებდი შემოქმედებრივთა ხელთა შენთაგან უცოდველთა შვილთა ჩემთა და ურცხვენელად მოვკლავდი მათ წინაშე თვალთა შენთა. გარნა ბედი მათი მარჯუენესა შინა შენსა არს, უფალო, ხოლო ცოდვანი ჩემნი წინაშე ჩემსა მარადის. შენდა მხოლოსა მიმართ ვინანი და გვედრი, სანატრელო, წარმართენ სლვანი ჩემნი გზასა სინანულისასა, რათა ყოველთა მონანულთა ცოდვილთა თანა გიგალობდე შენ: ალილუია.

იკოსი 3

რომელმან მხოლომან უწყნი უძღურებანი კაცთანი, უწყნიცა ჩემნი ცოდვით დაცემანი. ცოდვათა სიჭაბუკისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ და საიდუმლოთა ჩემთაგან განმწმიდე მხმობელი შენდამი:

შემიწყალე მე, დიდად ცოდვილი;
შემიწყალე მე, საღმრთოჲსა სჯულისა დამარღვეველი;
შემიწყალე მე, აღთქმისა შენისა გარდამავალი;
შემიწყალე მე, ვითარცა შენ მეუფისა სასყიდლისა ბოროტად მიმგებელი;
შემიწყალე მე, სინანულსა ჩემსა, ვითარცა მეთაერთმეტისა ჟამისა მუშაკი;
შემიწყალე მე, შვილთამკვლელი საწყალობელი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 4

მეუფეო ზეცათაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩემ შორის, ცოდვათაგან შებღალულისა და წმიდა-მყავ მე ყოვლისაგან ბიწისა და იხსენ სული ჩემი, რადათა ვხმობდე შენდამო, ცხოვნებული: ალილუია.

იკოსი 4

გზააბნეულ-ვარ, ვითარცა ცხოვარი წყმედული, მომიძიე მე, მონაჲ შენი, ღმერთო ჩემო, რომელი მცნებათა შენთაგან განშორებულ ვარ ხევსა შინა ვნებათა და თავნებობათა გაუვალთა, მიხსენ მე, უღირსი, სულთქმითა შენდამო თბილად მკვნესარი, მვედრებელი და მღალადებელი:

შემიწყალე მე, თავნებობისა ცოდვათაგან დამძიმებული;
შემიწყალე მე, ვნებათაგან დაბნელებული;
შემიწყალე მე, სიამაყით აღტაცებული;
შემიწყალე მე, შურითა განლუული;
შემიწყალე მე, უსამართლობითა აღვსებული;
შემიწყალე მე, რომელსა არა გნებავს სიკვდილი ცოდვილისა;
შემიწყალე მე, ნებსით შვილთა ჩემთა მკვლელი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 5

სადაცა გენებოს, ყოვლადძლიერო ღმერთო ჩემო, მუნცა იძლევის წესი ბუნებისა, სძლიე ჩემსაცა ბუნებასა ცოდვიანსა და ძალსა მისსა, რომელიცა მიმიზიდავს ცოდვათადმი, რამეთუ შენ ხარ შემოქმედი ყოველთა და დამბადებელი ბუნებათა. საღმრთოთა მადლითა შენითა სული წრფელი განმიახლე წიაღსა შინა ჩემსა, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან და აღხოცე სამართლად სულსა ჩემსა ზედა აღბეჭდული ნიშანი შვილთმკვლელისა, მსჯავრითა შენითა, მეექვსითა მცნებითა „არა კაც-ჰკლა“ დადებული და აღმიდგინე ცოდვათა ჩემთა მიერ დარღვეული საუკუნო აღთქმა შენი უფალო და კვალადცა აღმიდ-გინე სათნოებანი უწინდელნი, ცოდვათა მიერ განშორებულნი, რათა აღუკრძალველად გიგალობდე შენ: ალილუია.

იკოსი 5

რომელმან სცოდა, ვითარცა მე, უბადრუკმან, რომელი ცოდვა არა ვჰქმენ, რომელი ბოროტი არა გამოვისახე სულსა ჩემსა, გარნა შემუსვრილითა გულითა და ცრემლითა მოვალ შენდა მრავალმოწყალეო ღმერთო, მღალადებელი ესრეთ:

შემიწყალე მე, მონა შენი, უნდოვ;
შემიწყალე მე, ცოდვათა შინა გამედგრებული;
შემიწყალე მე, მოყვასისა მოძულე;
შემიწყალე მე, სიტყვითა და საქმით მოწყინარი;
შემიწყალე მე, სულითა და ხორცით შემწიკვლული;
შემიწყალე მე, სვინდისისა მიერ შემწვარი;
შემიწყალე მე, ჩვილთმკვლელი იროდისებრ;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 6

შარავანდედითა მადლისა შენისათა, უფალო, ნათლისამომცემელო, განაბრწყინვე სამოსელი სულისა ჩემისა და მიხსენ მე, რათა სიხარულით გიგალობდე: ალილუია.

იკოსი 6

მრავალთა უმრავლეს არს, ქრისტე, შეცოდებანი ჩემნი და წყვდიადი ღამისა ცხოვრება ჩემი, გარნა ვესავ მოწყალეებასა შენსა, მხსნელო ჩემო და ვითარცა დავით გიგალობ შენ:

შემიწყალე მე, რომელმან მცონარებითა განვვლე ყოველი ცხოვრება ჩემი;
შემიწყალე მე, ცოდვათა ჩემთა გამო დაუდუმებლად შენდამო მვედრებელი;

შემიწყალე მე, შენთა სინანულად მომყვანებელთა კეთილთა შეგონებათა მიმართ უმადური;
შემიწყალე მე, სჯულისა შენისა უგულვებელსმყოფელი და მცნებათა შენთა დამხსნელი;
შემიწყალე მე, სოფლისა ამის და რა ცა მას შინა არს შემყვარებელი;
შემიწყალე მე, ამაოებათა ამის სოფლისათა დამოწაფებული;
შემიწყალე მე, მცნებათა ამის სოფლისათა მიმხედველი და შენგან შვილიერებასა ზედა
კურთხევისა მოზიზღარი და შვილთმკვლელობისა მოქმედი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 7

ზეცად აღვიპყრობ თვალთა ჩემთა, შენდამო, სიტყვაო ღმრთისაო, გარნა ხრწნადი ბუნებად ჩემი
მიწად მიმიზიდავს, მაცხოვარო ჩემო. ჰოო, შემოქმედო ცათა და ქუეყანისაო და ყოველივესა
რაიცა არს მათ შინა! წარმიმართენ მე სლვანი ჩემნი ზეცათა მიმართ ვითარცა აზრით, ესრეთ
საქმით, რადთა ძლევითა გიგალობდე შენ გულით და ბაგით ესრეთ: ალილუია.

იკოსი 7

სივერაგითა და არაწმიდებითა აღვსილ არს თვალი ჩემი, საცთურთაგან ამის სოფლისათა
მოხიბლულ ვარ, ამისთვისცა გევედრები შენ, სახიერო, მიაქცინე თვალნი ჩემნი, რადთა არა
ვხედვიდე ამაოებასა, მხმობელი ლოცვით შენდამო:

შემიწყალე მე, მოწყურებული შენდა ერთგულად მსახურებასა;
შემიწყალე მე, სულითა და ჭეშმარიტებითა შენდამი თაყვანისცემისა მგულვებელი;
შემიწყალე მე, ცოდვათა წილ სინანულისა ცრემლთა ვითარცა მსხვერპლთა შენდა
შემწირველი;
შემიწყალე მე, შვილთა ჩემთა კლვისათვის შენდობისა მთხოვნელი;
შემიწყალე მე, ვნებათაგან ჩემთა განთავისუფლებისა შენზედა მსასოებელი;
შემიწყალე მე, მძიმეთა და სასიკვდილეთა ცოდვათა ჩემთა გამო მიწყვი მტირალი;
შემიწყალე მე, მკვლელი, საღმრთოდა და კაცობრივისა სამსჯავროისა თანამდები;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 8

შემიწყალე მე, უფალო, მაცხოვარო ჩემო, მოსრულო სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად,
რომელთაგან უმწიკვლევეანეს მე ვარ, გარნა გევედრები შენ მრავალმოწყალეო ღმერთო ჩემო,
მოსდერკ მოწყალეობად კეთილმოწყობისა შენისა, ისმინე ამოოხვრანი ჩემნი, მიიღე წყარო
ცრემლთა ჩემთაჲ, ტვილნი და სულიერნი ლოცვანი სულისა ჩემისანი, მაცხოვარ, რათა
გიგალობდე შენ: ალილუია.

იკოსი 8

ავაზაკებრნი ბოროტნი გულისსიტყვანი დამესხნეს, სვინიდისსა ჩემსა მთვლემარესა, ვად
ჩემდა, რამეთუ სამოსელი ჩემი ბრწყინვალე, ემზაზისა მიერ ჩემდა ბოძებული, მწიკვლევეანთა
ცოდვათა ჩემთა გამო განმე-ძარცვენს, ამისთვისცა ყრმათა კლვად ვყავ და სათნოებათაგან
ცალიერი ვიდრე აქამომდე ვჰგეი, რომლისათვისცა ვერ ვიკადრებ თვალთა ჩემთა ზე
აღხილვად, რომელნიცა ცოდვათა ჩემთა გამო, ქმნულთა წინაშე შენსა, ქვე დამიდრეკიეს,
უფალო და ესევეთარად ვხმობ შენდამო:

შემიწყალე მე, სასიკვდინეისა ცოდვისა მქმნელი;
შემიწყალე მე, ვიდრე აქამომდე ცოდვათა შინა დადგრომილი;
შემიწყალე მე, ყოველგვართა სიბილწითა აღვსილი;
შემიწყალე მე, არაბუნებითა მანკიერებათაგან შებღალული;
შემიწყალე მე, რომელმან ქალწულებისა სიწმიდე არა დავიცევ;
შემიწყალე მე, რამეთუ დედობისა ღვთისმოსაობაჲ განვიშორე;
შემიწყალე მე, საშოისაგან ჩემისა ჩვილისა ჩემისა განმგდები;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 9

წყარო ცრემლთა მეც მე, ღმერთო ჩემო, რათა ვსტიროდე ცოდვათა ჩემთა და ესევითარად მოხარული ვლადადებდე: ალილუია.

იკოსი 9

გვამი ჩემი შევაგინე საიდუმლოთაგან საძაგელთა, სული ჩემი დავაბნეულე აურაცხელთა ნამოქმედართა ჩემთაგან, უძლურ არს გვამი, უძლურ არს სულიცა ჩემი. შენ მხოლოსა ძვირუხსენებელსა, მოწყალესა მსაჯულსა და ღმერთსა ჩემსა შევრდომით გვედრები:

შემიწყალე მე, მკვლელი, ვინაითგან ჩემს მიერ მოკლულთა ჩვილთა ხვედრისა მოგონებითა განვკრთები და ვსძრწი და გამოუთქმელსა განკვირვებასა მივეცემი: ვითარ მოითმენ და კეთილსა მიყოფ გულმოწყალეო უფალო და მსაჯულო სიმართლისაო, დასამკვიდრებელსა ჯოჯოხეთსა შინა და ვიდრე ამაღ ჟამადმდე მოელი სინანულსა ჩემსა;
შემიწყალე მე, მრავალგზის აღმთქმელი სინანულისა და კვალად ცოდვათა მიმართ მიქცეული, ვითარცა ძალლი თვისსა ნათხევარსა;
შემიწყალე მე, მრავალთა მკვლელობათა მოქმედი;
შემიწყალე მე, რამეთუ შიშისა ღმრთისა და დედობრივისა სიყვარულისა უქონელმან, მხეცებრივითა განძვინებითა შვილნი ჩემნი დავფლითე;
შემიწყალე მე, რამეთუ ნებითა ჩემითა ცოდვა მრავალი მიქმნიეს;
შემიწყალე მე, საძაგელთა გულისთქმათაგან სულისა ჩემისა შემამწიკვლებელი;
შემიწყალე მე, დღესამომდე ცოდვილისა ცხოვრებისა მიმდევარი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 10

საცთურთაგან ამის სოფლისათა მოწყალულ-ვარ და მომიდრეკნიეს მუხლნი წინაშე მისსა, აღმრჩეველსა სიძულვილისა კანონისა მისისა, რომელ წარწყმედს, დამვიწყებებს აღთქმანი ჩემნი მიცემულნი ჟამსა ნათლისღებისასა და შევსძინებ უსჯულოებასა ცოდვისა თანა, რომელსაცა მთავაზობს სოფელი ესე; უკანასკნელ, მივეწიე მწვერვალსა სასიკვდინეთა ცოდვათასა – შვილთკვლასა, გარნა ღმერთო მამაო, განართხე ხელნი შენნი და შემიტკბე შენდამი მოლტოლვილი, ვიდრეღა შეგსწირავ მსხვერპლსა ქებისასა აღსასრულსა ცხოვრებისა ჩემისა, მღადადებელი: ალილუია.

იკოსი 10

მჰარავთა, კაცისმკვლელთა, ავაზაკთა და ყოველთა უნანელთა ცოდვილთა არა დაიმკვიდრონ სასუფეველი ღმრთისა. ხოლო მე ყოვლითა არაწმინდებითა და უსამართლობითა შევიმწიკვლე

სული და ხორცი ჩემი. ესევეთარისა სულიერისა უბადრუკებისა გამო შეგივრდები და ვხმობ შენდამო:

შემიწყალე მე, ახალსა აღთქმასა შინა მადლმოსილისა სასუფეველისა დამბადებლო;
შემიწყალე მე, შენ მიერ შექმნულსა ეკლესიასა შინა გაეკლესიურებული;
შემიწყალე მე, ნიჭთა მიერ სულისა წმინდისათა აღბეჭდული;
შემიწყალე მე, შენთა ყოვლადწმიდათა ხორცთა და ცხოველსყოფელისა სისხლისა მიერ გამოზრდილი;
შემიწყალე მე, ქრისტეს მიერ ნათელდებული და ქრისტეშემოსილი;
შემიწყალე მე, ყოველთა ამათ ქველისმოქმედებათა უარყოფელი და ბიწიერისა ცხოვრებისა აღმრჩეველი;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 11

უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სული უმანკოებისა მომმადლე მე, რამეთუ სიყრმით ჩემითგან მოვაკლდი სათნოებასა, ერთიანად დავემონე ვნებათა, სული და სამშვინველი შევაძწიკვლე და სხეული განვხრწენ.
ღმერთო მრავალმოწყალებისა და გულმოწყალებისაო! ნუ მოიძაგებ განმწმიდო მე, ესევეთარი უშვერი ცოდვილი, ქმნული თითთა შენთაჲ, შემიწყალე და განმწმიდე მე ყოვლისაგან ბიწისა სულისა და ხორცთასა და ღირს-მყავ კადნიერად გალობად შენდა: ალილუია.

იკოსი 11

უფალო, მოლოდებო გულისა ჩემისაო, ნუ განმაგდებ მე შენდამი მსასობელსა და ნუ მარცხვენ წინაშე ანგელოსთა და კაცთა სამართლიანსა და საშინელსა სამსჯავროსა შენსა, ნუ განმიკითხავ მე საქმეთაებრ ჩემთა, არამედ მოწყალებითა შენითა მომიტევე შეცოდებანი ჩემნი, შენდამო მდალადებელისა:

შემიწყალე მე, არაწმინდისა გულისა მქონებელი;
შემიწყალე მე, დემონთაგან დატყვევებული;
შემიწყალე მე, ცოდვათა შინა შობილი, ნათლისღებითა განბანილი და კვალად, ვითარცა ღორი, უსჯულოებათა შინა დაცემული;
შემიწყალე მე, მყრალსა სულსა ჩემსა შინა ცოდვიანთა წყლულებათა მქონებელი;
შემიწყალე მე მძიმეთა და სასიკვდინეთა ცოდვათა ჩემთა გამო სასოწარკვეთილებასა და მოწყენილობასა შინა ჩავარდნილი;
შემიწყალე მე, ყოვლითა ცოდვითა შებღალული და ყოვლისა სასჯელისა თანამდები;
შემიწყალე მე, შემოქმედო ჩემო და სინანულითა მიმიღე დაცემული;
უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 12

უსაზღვროდთა სიყვარულითა შენითა, ღმერთო ჩემო, დაჰფარენ ცოდვანი უსჯულოებისა ჩემისანი, მიმღებელმან სინანულისა ჩემისამან, რადთა სიყვარულითა ვხმობდე ყოვლადვე შენდამო: ალილუია.

იკოსი 12

სიჭაბუკემან ჩემმან უგუნურებასა შინა განვლო და ყოველი ცხოვრება ჩემი ცოდვათა შინა წარვავე, დაუდევრობითა და მცონარებითა სინანულისა მიმართ, გარნა სიბერემან, ზარგანხდილმან გარდაუვალითა სიკვდილითა და შენითა სამსჯავროდთა, სინანულად მომიყვანა მე.

ნუ განმაგდებ შენგან, მაცხოვარო ჩემო, მეათერთმეტესა ჟამსა მოსრულსა მკლავთა ქუეშე შენ მამისა ჩემისათა და სინანულითა მხმობელსა:

შემიწყალე მე, რამეთუ სისხლი უბრალოთა ყრმათა ჩემთა შეგდაღადებს და სწამებს ჩემთა მკვლელობათა შესახებ;

შემიწყალე მე, ღმერთო სამერთიანო ბუნებითა;

შემიწყალე მე, უფალო, კაცთმოყვარებითა ყოვლადსაკვირველო კაცთმოყვარეო;

შემიწყალე მე, მეუფეო, ჩვენთა შეცოდებათა ზედა დიდად სულგრძელო;

შემიწყალე მე, მეუფეო წმიდაო, უძლურებათა ჩვენთა მკურნალო;

შემიწყალე მე, აღსავსეო სიყვარულითა და მით სასოწარკვეთილთა ცოდვილთა განმატფობელო;

შემიწყალე მე, ყოვლადძლიერო, რომელმან უძლურებანი ჩვენნი თავს-ისხენ;

უფალო ჩემო, უფალო, სიხარულო ჩემო, შემიწყალე დაცემული ესე.

კონდაკი 13

გამოჩენად არს ნიშანი ძისა კაცისა ცათა შინა, ყოვლადწმიდა და ცხოველსმყოფელი ჯვარი ძისა ღმრთისაჲ, საშინელსა და მეორედ მოსვლასა მას განსჯად ცხოველთა და მკვდართა. მაშინ სტიროდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი. ჰოჲ, იესუ ქრისტე, მაცხოვარო და მსაჯულო ჩვენო და ყოველთა მეუფეო! უწინარეს დღისა მის მომეც ჩვენ ცრემლი სინანულისა, რადთა აღვხოცო მით ბოროტნი და წარმწყმედელნი საქმენი ჩემ მიერ ქმნულნი, რომელთაგან სული ჩემი შევაბილწე და ახლისა აღთქმისა სისხლი შენი ყოვლადპატიოსანი მწარედ შეურაცხვევაჲ! ეგრეთ მას ჟამსა შინა ანგელოსთა და ყოველთა წმიდათა და მართალთა თანა გიგალობდე შენ: ალლილუია. (სამგზის)

(ესრეთ იკოსი 1 და კონდაკი 1)

ლოცვა 1

ჰოჲ, მეუფეო, უფალო იესუ ქრისტე, მეო ღმრთისაო! აურაცხელითა სახიერებითა შენითა, ჩვენ კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცშესხმულო, ჯვარცმულო და საფლავად დადებულო სისხლითა შენითა ჩვენისა განხრწნილისა ბუნებისა განმაახლებელო, შეიწირე სინანული ჩემი და ისმინე სიტყვანი ჩემნი: შევსცოდე, უფალო, წინაშე შენსა და ზეცისა, სიტყვით, საქმით, სულით და ხორცით და აზრით გონებისა ჩემისა; მცნებათა შენთა გარდავხედ, არა ვისმინე ბრძანებათა შენთა, განვარისხე სახიერებაჲ შენი, ღმერთო ჩემო, გარნა რამეთუ ქმნული შენ მიერ ვარ, არა წარვიკვეთ სასოებასა ჩემსა, არამედ უსაზღვროსა კეთილშემწყნარებლობასა შენსა კადნიერებით მოუხდები და გვედრები შენ: უფალო! ჟამსა სინანულისასა მომმადლე მე გული შემუსვრილი და მიმიღე მვედრებელი და მომანიჭე აზრი კეთილი; მომმადლე მე გულის-ზრახვაი ცოდვათა ჩემთა აღსარებისა და ცრემლი ღმობიერებისა; უფალო, შემამლებინე მაღლი შენი დავსდვა საფუძვლად ყოველთა კეთილთა წამოწყებათა ჩემთა. შემიწყალე მე, ღმერთო, შემიწყალე მე, დაცემული და მომიხსენე ცოდვილი მხევალი შენი სასუფეველსა შენსა, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვა 2

ჰოდ ღმერთო, დიდადმოწყალო იესუ ქრისტე, ცოდვილთა გამომხსნელო, რომელმან ცხოვებისათვის კაცთა მოდგმისა დაუტევე უდიდებულესი ზეცა და გარდამოხედ ღელესა ამას გლოვისასა მრავალცოდვიანსა, იტვირთე საღმრთოთა მხართა ზედა უძლურებანი ჩვენნი და სნეულებანი ჩვენნი თავს-ისხენ; შენ, ჰო წმიდაო ვნებულო, ცოდვათა ჩვენთათვის მოიწყალ და უსჯულოებათა ჩვენთა გამო ეწამე; ამისთვისცა, ჩვენ ყოველნი, კაცთმოყვარეო, მოგიძღვანებთ მდაბალთა ამათ ლოცვათა: შეიწირე იგინი, ჰოდ ყოვლადსახიერო უფალო, შემწყნარებელ ექმენ უძლურებათა ჩვენთა და ცოდვათა ჩვენთა ნუ მოიხსენებ და მრისხანე განზრახვავი ჩვენთა ცოდვათათვის შურისგებისა უკუნაქციე ჩვენგან.

სისხლითა შენითა ყოვლადპატიოსნითა ჩვენისა დაცემულისა ბუნებისა განმაახლებელო უფალო იესუ ქრისტე, მაცხოვარო ჩვენო, განმაახლე ჩვენცა მყოფნი ცოდვათა განსახრწნელსა შინა და ნუგეშინის-ეც გულთა ჩვენთა სიხარულითა ყოვლადმიტევებლობისა შენისათა: გლოვითა და აურაცხელითა ცრემლითა სინანულისათა შეუვრდებით შენსა საღმრთოსა მოწყალეებასა: განმწმიდენ ჩვენ ყოველნი, ღმერთო ჩვენო, ღვთაებრივითა მადლითა შენითა ყოველთა უსამართლობათაგან და უსჯულოებათა ცხოვრებისა ჩვენისათა, რათა სიწმინდესა შინა შენისა კაცთმოყვარებისათა ვაქებდეთ ყოვლადწმიდასა სახელსა შენსა თანა მამით და ყოვლადსახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აჴ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისადმი

მოწყალეებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ.

გიხაროდენ, მხოლოო ყოვლადწმიდაო დედაო ერთისა მხოლოისა შემოქმედისა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესო!

მეოხმეყავ დღესა მას საშინელსა გამოცდისა ჩემისასა, ოდეს წარსვდგე წინაშე საყდრისა პირუთვნელისა მსაჯულისასა, რადთა ცეცხლოვანისა სატანჯველისა რისხვისაგან დახსნილ-ვიქმნა ლოცვითა შენითა მხოლოისა კურთხეულისა.

(მეტანია და განტეგება)

ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, მაცხოვრენ ჩვენ!

ილოცვიდეთ ამას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისათა.